

დოკუმენტი დამტკიცებულია
უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს
2020 წლის 9 ნოემბრის №4
დადგენილებით, სხდომის ოქმი №6

*შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის
განვითარების სტრატეგია (2020-2027)*

სარჩევი

1. შესავალი	4
2. ქუთაისის უნივერსიტეტის მისია	4
3. ქუთაისის უნივერსიტეტის ხედვა	4
2027 წლისთვის ქუთაისის უნივერსიტეტი წარმოადგენს რეგიონული და ეროვნული მნიშვნელობის აკადემიურ დაწესებულებას, რომელსაც უზრუნველყოფილი ექნება:	4
<ul style="list-style-type: none"> ● რეგიონის ეკონომიკური სპეციფიკის შესაბამისი, შრომის ბაზართან თანხვედრაში მყოფი, ასევე სახელმწიფოს და საზოგადოების აკადემიური საჭიროებიდან გამომდინარე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხით;..... ● შესაძლებლობა რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის კვლევითი პროექტების განხორციელებისა, ახალი ცოდნის გენერაცია და დისემინაცია; ● რეგიონული და ეროვნული მასშტაბის ექსპერტულ ცენტრად ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს დაგროვილი ცოდნის ფართო საზოგადოებისთვის გაზიარებასა და სახელმწიფოს დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური აღმშენებლობის პროცესს..... 	4
4. სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის შემუშავების პროცედურები	5
ა. ინიცირების ფაზა.....	5
ბ. სტრატეგიული გეგმის მომზადებისა და განხილვების ფაზა.....	5
გ. სტრატეგიული გეგმის დამტკიცების ფაზა.....	5
5. სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის მიზანი, ამოცანები და აქტივობები	6
ა. მიზანი.....	6
ბ. ამოცანები.....	6
გ. აქტივობები.....	6
5.1 კვლევითი ინსტიტუტის შექმნა	7
5.2 სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის შექმნა.....	7
5.3 უნივერსიტეტის სამეცნიერო - კვლევითი პოტენციალის შეფასება	7
5.4 უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის გაძლიერება	7
5.5 შიდა საგრანტო სისტემის განვითარება კვლევითი მიმართულებით	8
5.6 კვლევითი პროექტებისა და ინიციატივების წახალისება	8
5.7 სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის კომერციალიზაციის ხელშეწყობა.....	8
6. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების მექანიზმები	9
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტში შექმნილია სხვადასხვა ინსტიტუციური, ფინანსური, სამართლებრივი და წამახალისებელი ინსტრუმენტები. მათი ერთობლიობა ქმნის მოქნილ და კომფორტულ გარემოს სამეცნიერო-	

კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის ცენტრი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისა და ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:9

6.1 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები9

6.1.1 კვლევის დაფინანსების წესი9

6.1.2 აფილირების წესი10

6.2 სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმები10

7. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმები10

1. შესავალი

ქუთაისის უნივერსიტეტის 2020-2027 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია არის დოკუმენტი, რომელიც აყალიბებს ხედვას უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების მიზნით.

2. ქუთაისის უნივერსიტეტის მისია

ქუთაისის უნივერსიტეტის მისიაა უმაღლესი საგანმანათლებლო ცენტრის შექმნა, რომელიც ემსახურება:

- საერთაშორისო, ეროვნული და რეგიონული შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციისა და ცოდნის მქონე კადრების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებისა და შესაბამისი სფეროს განვითარებაში, ასევე ეკონომიკურ აღმშენებლობაში საკუთარი წვლილის შეტანას;
- ადგილობრივ დონეზე აკადემიური საზოგადოების გაძლიერებას, ახალი ცოდნის გენერირების და გაზიარების ხელშეწყობას როგორც უნივერსიტეტის რესურსების, ასევე, რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით.

3. ქუთაისის უნივერსიტეტის ხედვა

2027 წლისთვის ქუთაისის უნივერსიტეტი წარმოადგენს რეგიონული და ეროვნული მნიშვნელობის აკადემიურ დაწესებულებას, რომელსაც უზრუნველყოფილი ექნება:

- რეგიონის ეკონომიკური სპეციფიკის შესაბამისი, შრომის ბაზართან თანხვედრაში მყოფი, ასევე სახელმწიფოს და საზოგადოების აკადემიური საჭიროებიდან გამომდინარე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხით;
- შესაძლებლობა რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის კვლევითი პროექტების განხორციელებისა, ახალი ცოდნის გენერაცია და დისემინაცია;
- რეგიონული და ეროვნული მასშტაბის ექსპერტულ ცენტრად ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს დაგროვილი ცოდნის ფართო საზოგადოებისთვის გაზიარებასა და სახელმწიფოს დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური აღმშენებლობის პროცესს.

4. სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის შემუშავების პროცედურები

სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის სამუშაოები წარიმართა უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების თანამონაწილეობით. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფილ იქნა თანამონაწილეობის, გუნდურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვა.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი წარიმართა შემდეგ ძირითად ფაზებად:

ა. ინიცირების ფაზა

პროცესი მიზნად ისახავდა უნივერსიტეტის 2020-2027 წლების სტრატეგიის შესაბამისად 2020-2027 წლების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებას.

სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის შემუშავების მიზნით, რექტორის ბრძანებით ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი.

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ: რექტორი, ვიცე-რექტორები, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ფინანსური სამსახურის უფროსი, სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, იურიდიული სამსახურის უფროსი და ფაკულტეტების დეკანები.

ბ. სტრატეგიული გეგმის მომზადებისა და განხილვების ფაზა

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ორგანიზებით განხორციელდა ქუთაისის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სამომავლო ხედვის ფორმირება და მისი შესაბამისობის დადგენა “ქუთაისის უნივერსიტეტის 2020-2027 წლების სტრატეგიის დოკუმენტთან”.

სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ქუთაისის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის პირველადი ვარიანტი და უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებთან ერთად, მიეცათ საშუალება გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები და მიეღოთ უკუკავშირი დოკუმენტის შემქმნელი სამუშაო ჯგუფის წევრებისგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში გამოთქმული შენიშვნები და წინადადები გათვალისწინებულ იქნა და საუნივერსიტეტო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, მიღებულ იქნა საბოლოო დაკუმენტი.

გ. სტრატეგიული გეგმის დამტკიცების ფაზა

სამუშაო ჯგუფის მიერ, შემუშავებულ იქნა 2020-2027 ქუთაისის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის პროექტი. სტრატეგიის დოკუმენტი მოწონებულ იქნა და საბოლოოდ დამტკიცდა მმართველი საბჭოს მიერ.

5. სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის მიზანი, ამოცანები და აქტივობები

ა. მიზანი

სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის მიზანია ინოვაციური კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ეფექტური სისტემის განხორციელება და ადგილობრივ/საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით საუკეთესო კვლევითი პრაქტიკის გაზიარება.

აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის უნივერსიტეტი გეგმავს შედეგზე ორიენტირებული, როგორც შიდა, ასევე ერთობლივი და ინტერდისციპლინური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინიცირებას საერთაშორისო პარტნიორებთან, მათ შორის, კვლევით ცენტრებთან, უნივერსიტეტებთან და დონორ დაწესებულებებთან ერთად; ახალგაზრდა, პროგრესული მეცნიერების დაინტერესებას, კვლევით საქმიანობაში სტუდენტების ჩართვის სტიმულირებას; კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი შიდა პროცედურების დანერგვას და მოზიდული მკვლევრების მაქსიმალურ ხელშეწყობას საჭირო დაფინანსების მოპოვებასა და სამეცნიერო საქმიანობის შესაბამისი სტანდარტების დაცვით წარმართვაში. ასევე, უნივერსიტეტში კვლევითი ცენტრის შექმნას და კვლევების შედეგების კომერციალიზაციის მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას, რის შედეგადაც უნივერსიტეტი შეძლებს საკუთარი წვლილის შეტანას ბიზნესის, ეკონომიკისა და მედიცინის მიმართულებებით ახალი ცოდნის, ხედვების, მიდგომებისა და პერსპექტივების ჩამოყალიბებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ცოდნის საზოგადოებისათვის გაზიარებაში და დაიკავოს სასურველი პოზიცია უნივერსიტეტების ეროვნული რეიტინგებში.

ბ. ამოცანები

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წინსვლისა და ღირებული ცოდნის დაგროვებისათვის, 2020-2027 წლებისათვის უნივერსიტეტმა შეიმუშავა შემდეგი ამოცანები:

- კვლევითი ინსტიტუტის შექმნა;
- სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის შექმნა;
- უნივერსიტეტის სამეცნიერო - კვლევითი პოტენციალის შეფასება;
- უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის გაძლიერება;
- შიდა საგრანტო სისტემის განვითარება კვლევითი მიმართულებით;
- კვლევითი პროექტებისა და ინიციატივების წახალისება;
- სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის კომერციალიზაციის ხელშეწყობა.

გ. აქტივობები

უნივერსიტეტის 2020-2027 წლების სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების მიზნით, მოკლევადიან (3 წლიან) პერიოდში განისაზღვრა შემდეგი აქტივობები:

5.1 კვლევითი ინსტიტუტის შექმნა

- უნივერსიტეტში კვლევითი ინსტიტუტის დაფუძნება ყველა შესაბამისი ნორმატიული წესის დაცვით;
- სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მომზადება და წარდგენა ადგილობრივ და საერთაშორისო ფონდებში;
- ქართულ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის მომზადება;
- პანელური დისკუსიებისა და საჯარო ლექციების ორგანიზება;
- უცხოელი პროფესორების და ცნობილი სპიკერების მოწვევა საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად;
- სამეცნიერო ჟურნალის "ეკონომიკური პროფილის" ცნობადობის და ციტირების ინდექსირების გაზრდა.

5.2 სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის შექმნა

- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის დაფუძნება ყველა შესაბამისი ნორმატიული წესის დაცვით.

5.3 უნივერსიტეტის სამეცნიერო - კვლევითი პოტენციალის შეფასება

უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შეფასების მიზნით დაგეგმილია შემდეგი აქტივობები:

- უნივერსიტეტის მოწვეული და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი მიმართულებების განსაზღვრა და სისტემატიზაცია ფაკულტეტების მიხედვით;
- უნივერსიტეტის პერსონალის აკადემიური საჭიროებების გამოვლენა და სისტემატიზაცია ფაკულტეტების მიხედვით.

5.4 უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის გაძლიერება

უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის გაძლიერების მიზნით დაიგეგმა შემდეგი აქტივობები:

- აკადემიური საჭიროებების, ასევე სამეცნიერო - კვლევითი პოტენციალის შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით პერსონალის ხელშეწყობის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
- შესაბამის პრიორიტეტულ კვლევით მიმართულებებზე ახალი პერსონალის მოწვევა და აკადემიური პერსონალის გაძლიერება დამატებითი ადამიანური რესურსების მოზიდვით;

- კვლევით საქმიანობაში სტუდენტების ჩართვის სტიმულირება.

5.5 შიდა საგრანტო სისტემის განვითარება კვლევითი მიმართულებით

უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის და წახალისების მიზნით დაიგეგმა შემდეგი აქტივობები:

- შიდა საგრანტო სისტემის შექმნა;
- უნივერსიტეტის მიერ კვლევითი პრიორიტეტების იდენტიფიცირება;
- საგრანტო კვლევითი პროექტების მომზადების მიმართულებით კვლევითი ინსტიტუტის და ფაკულტეტების სტიმულირება და გაძლიერება.

5.6 კვლევითი პროექტებისა და ინიციატივების წახალისება

უნივერსიტეტის პრიორიტეტია აკადემიური პერსონალის და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით დაინტერესება სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, ღონისძიებების და სხვა აქტივობების დაგეგმვის და განხორციელების გზით.

კვლევითი პროექტებისა და ინიციატივების წახალისების მიზნით განისაზღვრა შემდეგი აქტივობები:

- კვლევითი გრანტების შესახებ აკადემიური პერსონალის და სტუდენტების სისტემატური და ეფექტური ინფორმირების სისტემის დახვეწა და დანერგვა;
- ინტერდისციპლინური და ინდივიდუალური საგრანტო კვლევითი პროექტების მომზადების ხელშეწყობა;
- საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება;
- ფონდების მოძიება და პრაქტიკული იმპლემენტაცია.

5.7 სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის კომერციალიზაციის ხელშეწყობა

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კომერციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით დაიგეგმა შემდეგი აქტივობები:

- ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კვლევა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების კომერციალიზაციის შესაძლებლობის შეფასება;
- კვლევის შედეგებზე დაყრდნობით პრიორიტეტების განსაზღვრა და ბიზნეს გეგმის მომზადება;
- სამეცნიერო - კვლევითი პროდუქტის პოპულარიზაცია ბაზარზე;
- ბიზნეს გეგმის შესაბამისად კომერციული სამეცნიერო - კვლევითი პროექტების განხორციელება.

6. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების მექანიზმები

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტში შექმნილია სხვადასხვა ინსტიტუციური, ფინანსური, სამართლებრივი და წამახალისებელი ინსტრუმენტები. მათი ერთობლიობა ქმნის მოქნილ და კომფორტულ გარემოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის ცენტრი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისა და ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა ყველა მიმართულებით;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობის შეფასება;
- უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით პროცესებში ჩართულობის, მათი სამეცნიერო-კვლევითი-შემოქმედებითი და საკონსულტაციო საქმიანობის მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- უნივერსიტეტის შიგნით კვლევითი კომპონენტის გაძლიერებაზე ზრუნვა;
- შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებაზე ზრუნვა;
- უნივერსიტეტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების ხელშეწყობა;
- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამგზავრების მხარდაჭერა სამეცნიერო ღონისძიებებზე, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად;
- უნივერსიტეტის კვლევითი რესურსების შესწავლა;
- ინსტიტუციური და ინდივიდუალური გრანტების მოძიება;
- პოტენციურ დონორ ორგანიზაციებთან თანმიმდევრული და პროფესიონალური ურთიერთობის ჩამოყალიბება;
- უნივერსიტეტის ფარგლებში გრანტებზე მომუშავე ჯგუფ(ებ)ის კოორდინაცია;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების მოძიების პროცესის მართვა;
- სტრატეგიების, კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა და მათი შესრულების უზრუნველყოფა; გრანტების მოძიებასა და მიღებასთან დაკავშირებით მუდმივ რეჟიმში შეთავაზებების შემუშავება.

6.1 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები

6.1.1 კვლევის დაფინანსების წესი

ქუთაისის უნივერსიტეტში მეცნიერების დაფინანსების ერთიანი სისტემის შექმნის, სამეცნიერო საქმიანობაში ჩართული პირების ნდობის ჩამოყალიბების, გამჭვირვალე და მიუკერძოებელი პროცედურების შექმნისა და მეცნიერების დაფინანსებისათვის

განკუთვნილი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპების დანერგვის მიზნით, ქუთაისის უნივერსიტეტში იქმნება შიდასამართლებრივი აქტი „კვლევების დაფინანსების წესი“.

წესი ადგენს კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესს და პროცედურებს, რომლითაც განისაზღვრება უნივერსიტეტის მხრიდან კვლევითი საქმიანობის ინიცირება, გადაწყვეტილების მიღება და აპელაციის პროცედურები.

6.1.2 აფილირების წესი

აფილირება გულისხმობს უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ ქუთაისის უნივერსიტეტთან და მისი სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში. ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესსა და პირობებს, აფილირებასთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის უფლებებსა და მოვალეობებს არეგულირებს უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტი „აკადემიური პერსონალის აფილირების წესი“.

6.2 სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმები

ქუთაისის უნივერსიტეტში შექმნილია დოკუმენტი „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ობიექტურ განხორციელებას, აკადემიურ თავისუფლებას და მიუკერძოებლობას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დამკვიდრებას; ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობისა და შინაგანი პასუხისმგებლობის დონის, საუნივერსიტეტო საზოგადოებაში უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლებას, მაღალი აკადემიური სტანდარტების დანერგვისათვის ქცევის ნორმების რეგულირებასა და პასუხისმგებლობის ფორმების დამკვიდრებას.

დოკუმენტის მოთხოვნები ვრცელდება უნივერსიტეტში დასაქმებულ აკადემიურ, მოწვეულ და სამეცნიერო პერსონალზე, ასევე უნივერსიტეტის სტუდენტებზე და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში და გამოცემებში ჩართულ პირებზე.

7. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმები

აკადემიური, მათ შორის აფილირებული პერსონალის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის ზრდის, პერსონალის კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებისა და შემოქმედებითი ინიციატივების გაღვივების მიზნით, რაც მიმართულია უნივერსიტეტის განვითარებასა და ხარისხის ამაღლებაზე, უნივერსიტეტი ყოველწლიურად ახორციელებს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას და შედეგებზე დაყრდნობით, ახდენს შემდგომი ღონისძიებების განხორციელებას. აღმიწნული

საკითხი რეგულირებულია უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტით „პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესით“. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების მიზნით უნივერსიტეტი სისტემატურად ახორციელებს სამოქმედო გეგმის კვლევითი ღონისძიებების შესრულების მონიტორინგს. ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევითი პროექტების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის ამოღება უნივერსიტეტის მიერ კვარტლურად ხდება „კვლევითი პროექტების მიმდინარეობის ანგარიშის ფორმის“ მეშვეობით.